სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

2023 წლის პერიოდში საგანმანათლებლო სფეროს მიმართულებით ჩატარდა რიგი ღონისძიებები როგორც სკოლისგარეშე, ასევე სკოლამდელი მიმართულებით. ფინანსურად წახალისდნენ სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსებში განსაკუთრებული შედეგების მქონე მოსწავლეები და 100%-იანი გრანტის მქონე კურსდამთავრებულები:

წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეებმა, ნანა ჩიტაიამ, მარიამ ანთიამ, გიორგი შამათავამ და სპს სენაკის ქართულ-ევროპული სკოლა N1-ის მოსწავლემ ანა ნარსიამ მონაწილეობა მიიღეს მომავალ ლიდერთა გაცვლით პროგრამაში (FLEX), სადაც გაიარეს საკმაოდ რთული შესარჩევი ეტაპი, მიიღეს FEX პროგრამის გამარჯვებული მონაწილის სტატუსი და ისინი 1 წლით 2023 წლის აგვისტოში გაემგზავრნენ აშშ-ში სასწავლებლად;

წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის კურსდამთავრებულებმა, ანა შამათავამ და ნინი ქათამაძემ პირველი ადგილი დაიკავეს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ კონკურსში - ,,ბავშვები თანასწორობისათის". მათ 80 წარდგენილ პროექტს შორის მოიპოვეს გამარჯვება და მ/წლის ოქტომბერში იმყოფებოდნენ ბელგიაში - ბრიუსელსა და ბრიუგეში, სადაც სტუმრობდნენ ნატოს შტაბ-ბინასა და ევროპალრამენტს.
სსიპ გენო ადამიას სახელობის ქ. სენაკის N1 საჯარო სკოლის 2023 წლის კურსდამთავრებულმა ლიზი გვაძაბიამ გაიარა ურთულესი და კონკურენციით სავსე ეტაპები (ტესტირება, გასაუბრება) და სრული დაფინანსებით ჩაირიცხა უნგრეთში, Pecs უნივერსიტეტში, (University of pecs) მიმართულებაზე არქიტექტურა-არქიტექტურული ინჟინერია.

სსიპ გენო ადამიას სახელობის ქალაქ სენაკის N1 საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლემ, ანასტასია ჯანაშიამ მონაწილეობა მიიღო გაეროს პროექტში ,,ლიდერი ახალგაზრდებისთვის", რომელიც გაიმართა საფრანგეთში და გერმანიაში (სტრასბურგი - შტუდგარდი). აღნიშნულ პროექტში მონაწილეობის მისაღებად ანასტასია ჯანაშიამ გაიარა ურთულესი და მაღალკონკურენტული შესარჩევი ეტაპები. პროექტის ფარგლებში მოსწავლე გაეცნო გაეროს მუშაობის პრინციპებს, ჩაერთო სიმულაციის პროცესებში. პროექტის პირველი ნაწილი წარიმართა შტუდგარდში, სადაც მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ წარედგინათ პოზიციის ფურცლები, ჩართულიყვნენ დებატებში და მონაწილეობა მიეღოთ საბოლოო რეზოლუციების მიღებაში. პროექტის მეორე ნაწილი გაიმართა საფრანგეთში. ანასტასიას სხვა რეგიონის თანატოლებთან ერთად საშუალება მიეცა ახლოს გაცნობოდა სტრასბურგს, როგორც საფრანგეთის ერთ-ერთ ყველაზე დიპლომატიურ რეგიონს, წვეოდა ევროპარლამენტს.

მიმდინარე წელს, ეროვნულ გამოცდებზე, რვა სენაკელმა კურსდამთავრებულმა განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია და მოიპოვა 100%-იანი გრანტი:

N2 საჯარო სკოლა

1. გიორგი ჟვანია - თავისუფალი უნივერსიტეტი, ბიზნეს- ადმინისტრირება
2. ზურაბ წირქვაძე - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, 1. ბიოლოგია, 2. ქიმია.
3. ნიკოლოზ წირქვაძე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები.

N3 საჯარო სკოლა

1. ილონა ცინარიძე - თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი, სამართალი.

თბილისის ვ.კომაროვის სახელობის N199 საჯარო სკოლა
1.გიორგი მზარელუა-თავისუფალი უნივერსიტეტი, კომპიუტერული მეცნიერებები და მათემატიკა
კერძო სკოლა ლიცეუმი.

6. კესო კილასონია - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ინგლისური ფილოლოგია (ინგლისურენოვანი)

კერძო სკოლა ,,მარიოტა"
1. სალომე ძიგუა - თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფიზიკა
2. დეა სალაყაია - თავისუფალი უნივერსიტეტი, საერთაშორისო ურთიერთობები.
ყველა მოსწავლე და კურსდამთავრებული წახალისდა ფინანსურად 500-500 ლარის ოდენობით.

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის მიერ ჩატარდა რიგი ღონისძიებები, რომელიც მიზნად ისახავდა მოსწავლე ახალგაზრდებში ცნობიერების ამაღლებასა და პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას. საგანმანათლებლო, ხალხური შემოქმედების, თეატრალური, მუსიკალური და ხელოვნების სხვა დარგების ხელშეწყობას.

მ/წლის 15 თებერვლიდან 25 თებერვლამდე ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლების მიზნით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის ორგანიზებით, სენაკის სამხატვრო გალერეის საკონფერენციო დარბაზში, საბჭოთა ოკუპაციის დღისადმი მიძღვნილი საგანმანათლებლო პროექტის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეთათვის გაიმართა თომა ჩაგელიშვილის ფილმის - ,,საქართველოს ოკუპაცია" ჩვენება, სადაც დეტალურად იყო გადმოცემული ბოლშევიკური რუსეთის მიერ 1921 წელს საქართველოს ახალგაზრდა სახელმწიფოს ანექსია. კვირეულის ფარგლებში ახალგაზრდებს დაურიგდათ საინფორმაციო ბუკლეტები.

ჯემალ აჯიაშვილის დაბადებიდან 79 წლისთავს მიეძღვნა ღონისძიებათა კვირეული, რომელიც გაიმართა ჟიული შარტავას სახელობის მე-2 საჯარო სკოლაში, ცენტრალურ ბიბლიოთეკასა და სენაკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში;

ქართული თეატრის დღეს, ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 84 წლისთავს და საბჭოთა ტერორს შეწირულi ქართველი საზოგადო მოღვაწეების ცხოვრებას, საბჭოთა ოკუპაციის პირისპირ აღმოჩენილი ქართული თეატრის ისტორიის ტრაგიკულ ამბებს მიეძღვნა სენაკის მუნიციპალიტეტის მერიისა და ა(ა)იპ ,,თბილისის განათლებისა და კულტურის ცენტრის" ერთობლივი პროექტის ფარგლებში გამართული დოკუმენტური ფილმის - ,,სანდრო ახმეტელი - 135" ჩვენება, რომელიც გაიმართა მ/წლის 31 მარტს სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, რომელსაც უძღვებოდა თეატრმცოდნე და ტელეწამყვანი, ნიკოლოზ წულუკიძე. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა გამოჩენილი ქართველი მხატვრის, გია გუგუშვილის ნახატების გამოფენა.

27 აპრილს, ,,სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრი"-ს სამუსიკო სკოლის ს. ცინცაძის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეწყობითა და საქართველოს საგუნდო საზოგადოების სამეგრელოს ფილიალის ინიციატივით, საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების VII ეროვნული

კონკურსის პირველი შესარჩევი ტური გაიმართა, სადაც ადგილობრივ საგუნდო და ხალხურ კოლექტივებთან ერთად მონაწილეობას ღებულობდნენ რეგიონის ანსამბლები;

სამსახურის უმთავრეს მისიას წარმოადგენს ნიჭიერ შემსრულებელთა წარმოჩენა, მათი ხელშეწყობა და პოპულარიზაცია. ამას ისახავდა მიზნად ვირტუოზი გიტარისტის, სამუსიკო სკოლის პედაგოგის, გოჩა ჯგერენაიას სოლო კონცერტი, რომელიც გაიმართა 5 მაისს სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში;
15 მაისიდან 25 მაისის ჩათვლით სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ჩატარდა კლასიკური მუსიკის სენაკის მე-10 საიუბილეო საერთაშორიშო ფესტივალი - ,,სენაკის არტ ფესტივალი", რომელიც სენაკში კათოლიკოს პატრიარქის, ილია II-ის პატრონაჟითა და მსოფლიოში გამოჩენილი პიანისტის, ვალერიან შიუკაშვილის ორგანიზებით იმართება. წელს ფესტივალი გამოირჩეოდა როგორც საკონცერტო რეპერტუარით, ასევე საერთაშორისო და ეროვნული კონკურსების ლაურეატების მასტერ კლასებით. 10 დღის განმავლობაში სენაკელ მსმენელებს საშუალება ჰქონდათ მოესმინათ და ენახათ გამოჩენილი ქართველი მომღერლების ნატო მეტონიძისა და ლიზი ბაგრატიონის, საერთაშორისო ფესტივალების გამაჯვებულების, ვალერიან შიაუკაშვილისა და ავსტრიელი პიანისტის, მოცარტის VIII საერთაშორისო კონკურსის გრან-პრის მფლობელის, გაბრიელ ტრიტრემელის, სუხიშვილების ცნობილი მოცეკვავის თეა დარჩიას და სტუდია ,,თედასელების", მსოფლიოს ხალხთა ფოკლორული ანსამბ ,,თუთარჩელას", სხვადასხვა საერთაშორისო და ეროვნულ ფესტივალებში გამარჯვებული ახალგაზრდების შემოქმედება. სამუსიკო სკოლის მოსწავლეებს ჩაუტარეს მასტერკლასები ვალერიან შიუკაშვილმა (ფორტეპიანო),თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებულმა პროფესორმა, თამარ ბულიამ (ვიოლინო), თეა დარჩიაm (ქორეოგრაფია), ბათუმის კონსერვატორიის ასოცირებულმა პროფესორმა, ირინა ხერჟიმ (ფორტეპიანო). გალა კონცერტი საზეიმოდ დაიხურა 25 მაისს, რომელსაც უძღვებოდნენ ყველასათვის საყვარელი მსახიობები თათული ედიშერაშვილი და თამარ ნიკოლაძე. ფესტივალის საკონკურსო ნაწილში ქვეყნის მაშტაბით საქართველოს 50-მდე სახელოვნებო და სამუსიკო სკოლების 3000-ზე მეტმა მოსწავლემ მიიღო მინაწილეობა.

საგუნდო ხელოვნების განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით, სამუსიკო სკოლის საგუნდო კოლექტივის საშემსრულებლო უნარების გაფართოებისა და გამრავალფეროვნებისთვის, ამასთან, როგორც საგუნდო მოძრაობაში აქტიურად ჩართვისათვის, ისე ახალ, კრეატიულ პროექტებში მონაწილეობისთვის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურმა მ/წელს მოიწვია თეატრალური და საგუნდო დარგის სპეციალისტები: რეგიონული თეატრების საერთაშორისო ფესტივალის გენერალურ მენეჯერს და მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა სახელმწიფო თეატრის მსახიობს, ბექა ჯუმუტია და საქართველოს საგუნდო საზოგადოების სამეგრელოს ფილიალის ხელმძღვანელი, თბილისის სამუსიკო სასწავლებლის ,,ნიჭიერთა ათწლედის" გუნდის ხელმძღვანელი, თბილისის ახალგაზრდული კაპელის დირიჟორი, შიო აბრახამია. სწორედ ამ პროექტის პროდუქტი გახლდათ 28 მაისს, დიმიტრი ჯაიანის სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის სცენაზე გამართული მუსიკალურ-ლიტერატურული კომპოზიციის – ,,ორნი აქა იქ" პრემიერა.

ივნისს ტრადიციულად გაიმართა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კომპლექსური ღონისძიებები, რომლის ყველაზე სანახაობითი ნაწილია სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღსაზრდელთა და მათ აღმზრდელთა გალა-კონცერტი, რომელიც წელს მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრის საკონცერტო დარბაზში გაიმართა.

ივნისს სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების სენაკის ორგანიზაციის ორგანიზებითა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, სენაკში ,,ვეფხისტყაოსნის" დღე აღინიშნა. ,,ვეფხისტყაოსნის'' დღეს, სენაკში, რუსთველის პოემის საჯარო კითხვის მარათონი გაიმართა მოსწავლე ახალგაზრდობის სკვერის ამფითეატრის სცენაზე. ,,ვეფხისტყაოსნის'' საჯარო კითხვაში, რომელიც მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის სპეციალისტს, ლია ღვამბერიას მიჰყავდა, მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეები, პედაგოგები და მოხალისეები ჩაერთნენ. ,,ვეფხისტყაოსნის'' თემატიკაზე, ხელოვნების ცენტრის სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა მიერ შექმნილი ილუსტრაციებისა და ნახატების გამოფენა გაიმართა. ,,ვეფხისტყაოსნის'' დღესთან დაკავშირებით, ქალაქის საჯარო ბიბლიოთეკაში, კალიგრაფიის კონკურსი ჩატარდა.

აგვისტოს საზეიმოდ გაიხსნა რეგიონული თეატრების IX საერთაშორისო ფესტივალი სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, სენაკისა და ფოთის მერიების თანადაფინანსებით. სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში სპექტაკლით „რომეო და ჯულიეტა“ (რეჟისორი ვახტანგ ნიკოლავა) დაიწყო რეგიონული თეატრების IX საერთაშორისო ფესტივალი. 3 აგვისტოს სენაკელმა მაყურებელმა იხილა ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლი ,,ოტელო“. 4 აგვისტოს კი ფესტივალის სენაკის ნაწილი დაიხურა ირანის დასის სპექტაკლით ,,კორიონალუსი“. 2023 წელი უდიდესი დრამატურგის, უილიამ შექსპირის, წლად არის გამოცხადებული და მთელი მსოფლიო ზეიმობს „პირველი ფოლიოს“ 400 წლისთავს. რეგიონული თეატრების IX საერთაშორისო ფესტივალიც სწორედ ამ მნიშვნელოვან თარიღს გამოეხმაურა და წარმოდგენილი იყო მხოლოდ უილიამ შექსპირის პიესების მიხედვით დადგმული სპექტაკლები. გარდა სპექტაკლებისა, ფესტივალმა იმ თეატრების ახალგაზრდა მსახიობებს, რომლებიც საფესტივალო პროგრამაში არ მონაწილეობდნენ, შესთავაზა მასტერკლასების სერია სამსახიობო ოსტატობაში, რომელიც მათთვის ჩაატარა ამერიკიდან მოწვეულმა რეჟისორებმა: დიმიტრი ტროიანოვსკი (რეჟისორი, ბრენდაის უნივერსიტეტის თეატრალური მიმართულების პროფესორი), ადრიან გიურეა (რეჟისორი, კოლგეიტის უნივერსიტეტის თეატრალური დეპარტამენტის პროფესორი), სომონა გიურეა (კოლგეიტის უნივერსიტეტის თეატრალური დეპარტამენტის სამსახიობო ხელოვნების პედაგოგი).

25 ოქტომბერს მოსწავლე ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის საკონცერტო დარბაზში სენაკის საჯარო სკოლების მე - 10 კლასელ 47 წარმატებულ მოსწავლეს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის ,,ჩემი პირველი კომპიუტერი“ საზეიმო ვითარებაში საჩუქრად გადაეცა კომპიუტერები. საკონცერტო ნაწილში, რომელიც ორგანიზებული იყო განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის მიერ, მონაწილეობას ღებულობდნენ ხელოვნების ცენტრის მოსწავლეები.

25 ოქტომბერს არასამთავრობო ორგანიზაციამ ,,აერიენმა“, რომელიც სენაკში წარმოადგენს ინგლისურენოვან ,,საკვირაო სკოლას“ კემბრიჯის მიმართულებით, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის მხარდაჭერით სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გამართა ინგლისურენოვანი მიუზიკლის ,,მერი პოპინსის“ წარმოდგენა.

30 ოქტომბერს მასწავლებლის ეროვნული დღე პირველად აღინიშნა სენაკის მუნიციპალიტეტში. საზეიმო კონცერტზე მაყურებლის წინასე წარსდგა ქართველი შემსრულებელი ნეკა სებისკვერაძე ბენდთან ერთად. საღამოს უძრვებოდა მსახიობის და ტელეწამყვანი, კახა მიქიაშვილი.

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურმა განაახლა პროექტი- ,,საბავშვო არქეოლოგია", რომელიც თავისი მნიშვნელობით განსაკუთრებულია, რადგან საქართველოს მაშტაბით ის მხოლოდ ნოქალაქევის არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმ ნაკრძალში და დიდი მცხეთის არქეოლოგიურ სახელმწიფო მუზეუმ ნაკრძალში ხორციელდება საგანგებოდ მოწყობილ ველზე, რაც სასწავლო-შემეცნებით (ადაპტირებულ) არქეოლოგიურ გათხრებს გულისხმობს. აღნიშნული პროექტი ხელს უწყობს საბაზისო დონეზე ისტორიული მეცნიერების ისეთი მნიშვნელოვანი დარგის გაცნობას, როგორიცაა არქეოლოგია. მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ გაეცნონ არქეოლოგიის საველე საქმიანობის სპეციფიკას და ჩამოუყალიბდეთ ამ საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. პროექტი მომდინარეობდა 3 ნოემბრიდან 20 ნოემბრის ჩათვლით და მასში მონაწილეობა მიიღო ალაქის საჯარო და კერძო სკოლების 225 -მა მეშვიდე კლასელმა. ყველა მონაწილეს გადაეცა ,,ნორჩი არქეოლოგის" სერთიფიკატი და საველე დღიური.

კულტურის ხელშეწყობის მიმართულებით განახორციელდა შემდეგი აქტივობა:
დაფინანსდა, აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრში დადგმული სპექტაკლები ,,რომეო და ჯულიეტა'' - 20 000 (ოციათასი) ლარით, ,,ჩიპოლინო '' – 20 000 (ოციათასი) ლარით.

144 კვ/მ სცენის, განათების და გახმოვანების აპარატურის შესაძენად გამოცხადებული ტენდერი შედგა და მიმდინარეობს საქონლის მოწოდების პროცესი. სცენა 90 000 (ოთხმოცდაათიათასი) ლარი), განათება-გახმოვანება 316 000 (სამასთექვსმეტიათასი) ლარი.

ადგილობირვი მუსიკალური ჯგუფების ხელშეწყობისა და პოპულარიზაციისთვის ლიეტუვის სახელმწიფოში მიწვეულ ანსამბლი ,,მუსიკელი '' დაფინანსდა 3 276 (სამიათას ორასსამოცდათექვსმეტი) ლარით და ესტონეთის სახელმწიფოში მიწვეული ჯგუფი ,,გოგოლაი'' 3805 (სამიათასრვაასხუთი)ლარით.

განხორციელდა სენაკის მუნიციპალიტეტზე მუსიკალური კლიპის გადასაღებად საჭირო მომსახურეობის შესყიდვა 89 680 (ოთხმოცდაცხრაათას ექვსასოთხმოც) ლარზე . მომსახურეობის მოწოდება უნდა განხორციელდეს 2024 წლის 31 მაისამდე.

3 მარტს, დედის დღე აღინიშნა - ახლად დაბადებული ჩვილების დედებს კლინიკა ,,სენამედი"-ში სამახსოვრო საჩუქრები გადაეცა.

8 მარტს, ,,ქალს -გაზაფხულს''- აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ქალებისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა , წამყვანი ზურა ბალანჩივაძე, მუსიკალური გაფორმება ანსამბლი ,,შვიდკაცა''.

ლადო გუდიაშვილის ნახატის ,,ზეიმი ქართლში'', ქ. თბილისიდან ტრანსპორტირება და სამხატვრო გალერეაში განთავსება განხორციელდა.

26 მაისს, განხორციელდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა, სხვადასხვა სახის გასართობი შემეცნებითი ღონისძიებები, გალა კონცერტი ცენტრალურ მოედანზე და ფოიერვერკი.
აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ჩატარდა - შემოქმედებითი მუსიკალური საღამო ,,ქუჩის მუსიკოსები და მეგობრები''-ის მონაწილეობით.

მურმან ჯინორიას შემოქმედებითი საღამო ჩატარდა აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, სადაც წამყვანი გახლდათ ნიკა წულუკიძე , ხოლო მუსიკალური აკომპანიმენტი ზ. ფალიშვილის თბილისის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის პირველი მევიოლინე ლელა მჭედლიძე, პიანისტი ნიკა ნიკვაშვილი.

ეგრისობის ღონისძიებასთან დაკავშირებით, რომელიც ჩატარდა ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიურ მუზეუმ ნაკრძალის ტერიტორიაზე, მოეწყო შემდეგი აქტივობები: გასტრო მოგზაურობა ,,ისტორია თეფშზე''; ესმა კუნჭულიას საავტორო პროექტი ამბავი ქართულ ყველზე; ანა მიქაძე ჩიკვაიძეს პროექტი; მერის სათათბირო ორგანო - ახალგაზრდული საბჭო ,,იმოგზაურე წარსულში", საგანმანათღლებლო აქტივობები სამსახსოვრო საჩუქრები; მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის შემოდგომის კუთხე; ადმინისტაციული ერთეულების საერთო მეგრული ოდა; ადგილობრივი და ჩამოსული მეწარმეების გამოფენა გაყიდვა,;ქართული ჭიდაობა; საჯარო სკოლების გამოფენები; შოთა მესიხიას სახელობის პროფესიული სასწავლებელის საგამოფენო სტენდი; ხელოვნების ცენტრის საგამოფენო ჩვენებები, მუსიკლაური ნომრები; საპატიო სენაკელების დაჯილდოვება; გალა კონცერტი და ფოიერვერკი.
წლის ბოლოს, ნაძვის ხის საზეიმო ანთების ღონისძიების ფარგლებში გაიმართა გალა კონცერტი, მოეწყო საბავშვო სივრცეები და თოვლის ბაბუის სახლი, სადაც ასევე მონაწილეობდნენ ანიმაციური გმირები. ბავშვებს გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები, ჩატარდა სანტა კლაუსის და მოსიარულე ორკესტრის ფლეშმობი; ადგილზე შესაძლებელი იყო ცხელი შოკოლადების, გლინტვეინის და ორცხობილების დაგემოვნება. ახალგაზრდული საბჭოს მიერ განხორციელდა გამოფენის ორგანიზება - შექმენი კრეატიული ნაძვის ხე; გამოყოფილი იყო სივრცე გიფერისთვის და ღონისძიება დასრულდა საზეიმო ფოიერვერკით.

სპორტის მიმართულება:

გასულ საანგარიშო წელს, სპორტული ფორმებით დავასაჩუქრეთ სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2023-ის რეგიონალური ეტაპის მონაწილე სკოლები (აღნიშნული ტარდება საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის ორგანიზებითა და მუნიციპალიტეტების თანამშრომლობით). ასევე, უზრუნველვყავით მათი ტრანსპორტირება რეგიონალურ თამაშებზე. ს ბადმინტონში, ფრენბურთში და გეზ. რბენში (გოგონები) და ხელბურთში (ვაჟები) მოვიპოვეთ ზონალური ეტაპის საგზურები და ასევე უზრუნველვყავით მონაწილე სკოლების ტრანსპორტირება. მაისის თვეში საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაციასთან ერთად ჩავატარეთ მოყვარულ ფეხბურთელთა ტურნირი და გამოვავლინეთ სენაკის მუნიციპალური ეტაპის გამარჯვებული, რომელიც აგვისტო-ოქტომბერში მონაწილეობდა „მოყვარულთა თასი 2023"-ის რეგიონალურ გათამაშებაში. გამარჯვებული გუნდისთვის შევიძინეთ საფეხბურთო ფორმების კომპლექტი და დავეხმარებით რეგიონალურ თამაშებზე ტრანსპორტირებაში. აგვისტოს პირველ ნახევარში „7*7 ფეხბურთის ასოციაციის" ორგანიზებით გამართულ ტურნირზე უზრუნველვყავით სენაკის გუნდის ტრანსპორტირება რეგიონალურ თამაშებზე 7*7-ზე ფეხბურთში.

მიღწეული წარმატებების გათვალისწინებით წამახალისებელი ფულადი ჯილდოები გადავეცით სენაკის მკვიდრ ძიუდოისტ მარიამ სიჭინავას, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე გიორგი ჩხიკვაძესა და გიორგი ქვარცხავას. საწვრთნელ შეკრებაზე მონაწილეობის მისაღებად დახმარება გავუწიეთ ძიუდოისტ მარიამ სიჭინავას. საქართველოს 2023 წლის ჩემპიონატისთვის ჭიდაობაში მოსამზადებელი საწვრთნელი პერიოდისთვის სპეც. მედიკამენტების (ვიტამინების) შეძენაში დავეხმარეთ გიორგი ჩხიკვაძეს. საქართველოს ძიუდოს ფედერაციასთან ერთად დავაფინანსეთ საქართველოს ვეტერან ძიუდოისტთა ნაკრების წევრი სენაკელი ელგუჯა გვასალია ვეტერანთა ევროპის ჩემპიონატზე

გასამგზავრებლად. მოგვიანებით ელგუჯა გვასალიას დახმარება გავუწიეთ სამბოსა და ძიუდოს მსოფლიოს ვეტერანთა ჩემპიონატზე გასამგზავრებლად. ასევე იტალიაში, მოსწავლეთა საჭადრაკო მსოფლიო ჩემპიონატზე გასამგზავრებლად დავეხმარეთ წარმატებულ სენაკელ მოჭადრაკეს გიორგი ჭანტურიას. 2023 წელი გამორჩეული იყო სენაკის საკალათბურთო ისტორიისთვის, რამეთუ ისტორიაში პირველად ჩვენმა კალათბურთელებმა მონაწილეობა მიიღეს 16 წლამდელთა საქართველოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო თამაშებზე და საბოლოოდ 16 წლამდელთა ლიგაში მონაწილეობის უფლება დაიმსახურეს, რისთვისაც გუნდსა და მწვრთნელ-მასწავლებელს გადაეცათ წამახალისებელი ფულადი ჯილდო 1700 ლარის ოდენობით. ფეინთბოლის ფედერაციასთან ერთობლივად ჩატარდა სენაკის მუნიციპალური ტურნირი ფეინთბოლში. წამახალისებელი ფულადი ჯილდოები გადავეცით ტაეკვონდოს (ICTF) ფედერაციის მიერ გამართულ მსოფლიო თასის მონაწილე წარმატებულ სენაკელ სპორტსმენებს: ოთო დემურიას, ლაშა ჯოლოგუას, საბა ფხაკაძეს, უშანგი და ცოტნე მიშველაძეებს. მოგვიანებით ამავე ფედერაციის ორგანიზებით გამართულ საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულს ნიკოლოზ წურწუმიას.

30 სექტემბერს ჩავატარეთ მარათონი ევროპის სასკოლო სპორტის დღესთან დაკავშირებით და ოქტომბერ-დეკემბერში ჩავატარეთ სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2023-2024-ის სენაკის მუნიციპალური ეტაპის თამაშები და გამოვავლინეთ გამარჯვებულები სახეობების მიხედვით (მინიფეხბურთი, ხელბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ბადმინტონი, ფრენბურთი, 3X3 კალათბურთი, გეზრბენსა და მხიარულ სტარტებში), როგორც გოგონათა ასევე ვაჟთა შორის.

წლის ბოლოს გამოვავლინეთ 2023 წლის საუკეთესო სენაკელი სპორტსმენები : საუკეთესო სპორტსმენი გიორგი ჩხიკვაძე, საუკეთესო ვეტერანი სპორტსმენი გია ლატარია, საუკეთესო გოგონა სპორტსმენი ანანო კინწურაშვილი, საუკეთესო მოსწავლე სპორტსმენი გიორგი ქვარცახავა, საუკეთესო ლეგიონერი სპორტსმენი გიორგი დავითაია და საუკეთესო მწვრთნელ-მასწავლებელი რამაზ კოკაია, მათ გადავეცით სპეციალური სიგელი და ფულადი ჯილდოები.

ახალგაზრდული დარგის განსავითარებლად 2023 წელს დიდი ნაბიჯები გადაიდგა:

მუნიციპალიტეტის მერიის და მშვიდობისა და განვითარების აკადემიის ერთობლივი მუშაობით წელს პირველად სენაკის მუნიციპალიტეტში შეიქმნა ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი რომლის მიზანია მხარი დაუჭიროს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 14-29 წლის ახალგაზრდების წინაშე არსებული გამოწვევებისა და სირთულეების დაძლევას და ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების განვითარებას და კეთილდღეობას; განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის ხედვას, საქმიანობას პრიორიტეტული მიმართულებებს, სერვისების პროგრამების და ღონისძიების დაგეგმვას. ასევე, შეიქმნა და გაიწერა განსახორციელებელი სამოქმედო გეგმა 2023 წლიდან 2026 წლამდე.

დამტკიცდა სენაკის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო - ,,ახალგაზრდული საბჭო", ოთხი თვის განმავლობაში, საბჭოს 100-მდე სენაკელი ახალგაზრდა მოხალისე შემოუერთდა. მერის სათათბირო ორგანო ახალგაზრდული საბჭო ჩართულია ადგილობრივ თვითმართველობის განხორციელებაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის უზრუნველყოფით, ასევე სხვადასხვა სახის პროექტებისა და ინიციტიატივების განხორციელებაში. საბჭოს სტრუქტურა დაიყო შემდეგნაირად: განათლების, კულტურის, სპორტის, გარემოს დაცვის, ტურიზმის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური საკითხების, პროექტებისა და მეწარმეობის კომიტეტებად. სკოლებში პირველად ჩატარდა ინფორმაციული შეხვედრები. საბჭოს ,,კინო მოყვარულთა კლუბის" წევრების ორგანიზებით ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მხატვრული ფილმის ჩვენება გაიმართა. წარმატებულად შედგა საბჭოს პირველი ეგრისობის ღონისძიება, დაგეგმილ აქტივობებში აქტიურად ჩაერთნენ ახალგაზრები, მოეწყო ტრადიციული სივრცე ,, იმოგზაურე წარსულში'' - ინსტალაცია, ფოტო-

კონკურსი გამარჯვებულებს გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები, ბრენდირებული მაისურები, ჩანთები, სამაჯურები, 10 ბილეთი აკაკი ხორავას სახელობის სახლმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლებზე. საბჭოს წევრები ანი ეჯიბია და ანასტასია ჯანაშია გაცნობითი ხასიათის პრეზენტაციით წრსდგნენ ეკოკლუბ ,,მწვანე ერთობის" წინაშე, შეთავაზებული საბავშვო ბაღის აქტივობა ,,მწვანე ერთობის" წარმომადგენლებმა წარმატებით განახორციელეს. ახალგაზრდული საბჭოს ორგანიზებით საკალთბურთო ტურნირი 3X3-ზე გაიმართა. ჩატარდა ტრენინგები „არაძალადობრივი კომუნიკაცია" სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჟიული შარტას სახელობის სხდომათა დარბაზში. საბჭოს ორგანიზებით სკოლებს შორის მოეწყო ,, კრეატიული ნაძვის ხის" კონკურსი. ზუგდიდის ახალგაზრდულ სათათბიროსთან ერთად 18 სოციალურად დაუცველ ბავშვს საახალწლო საჩუქრები გადაეცათ.

ასევე, საანგარიშო წელს ჩატარდა/უზრუნველყოფილი იქნა:

1. ახალგაზდებისთვის სკოლის დამთავრების ღონისძიება - საზეიმო კონცერტი ადგილობივი სკოლების და მოწვეული მომღერლების მონაწილეობით.
2. 7 ახალგაზრდა გაემგზავრა საბერძნეთში კუნძულ კრეტაზე საზაფხულო ბანაკში, სსიპ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მომსახურების სააგენტოსა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლობით.

3. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდა სტუდენტების დაფინანსების /თანადაფინანსების ხელშეწყობის პროგრამა: 2023 წელს დაფინანსდა 13 სტუდენტი. დაფინანსების ბიუჯეტი იყო 10 000 ლარი, გაიხარჯა - 9 375 ლარი.

სამსახური აქტიურად აგრძელებს დებულებების შესაბამისად მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების შესრულებას.

სამსახურის უფროსი — გივი მისაბიშვილი